TSINANDALI FESTIVAL

4- 14 SEPTEMBER

2025 7TH EDITION

SEPTEMBER 9 19:00

ქართული ნაციონალური ბალეტი

სუხიშვილები

ილიკო სუხიშვილი სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო სუხიშვილი დირექტორი

პროგრამის შესახებ

ქართული ნაციონალური ბალეტის პროგრამა მოგვითხრობს ქართველი ხალხის ბრძოლაზე, ტანჯვასა და გმირობაზე. არაჩვეულებრივი კოსტიუმებისა და დიდებული ქორეოგრაფიის საშუალებით იხატება ქართული სულის პორტრეტი. მამაკაცები გვაოგნებენ თავიანთი ტემპერამენტით, ავლენენ რა მებრძოლ და, იმავდროულად, კეთილშობილ ბუნებას; მათი განსაცვიფრებელი უნარების შთამბეჭდავი მაგალითებია ბრუნვები და ხტომები ფეხის წვერებზე, რბილძირიან ტყავის ფეხსაცმელებში, ასევე სუნთქვისშემკვრელი სისწრაფის ბრუნვები ცალ მუხლზე. სცენაზე მოსრიალე გასაოცარი სილამაზის ქალები კი ხიბლავენ მაყურებელს თავიანთი მომაჯადოებელი ცეკვებით. მთელს პროგრამას საქართველოს ისტორია გამოაქვს მაყურებელთა სამსჯავროზე. ქართული სულის თავისებურებები აცვიფრებს მაყურებლებს და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ავსებს მათ გულებს. ქართული ნაციონალური ბალეტი ყოველთვის ცდილობს ქართული ცეკვის განახლებას. ანსამბლი არ წარმოადგენს ცეკვის მუზეუმს და ის მუდამ იცვლება და ვითარდება. ფოლკლორული თემები (ქორეოგრაფია, მუსიკა) მოდერნიზდება და მათ ემატება კლასიკური ცეკვის ელემენტები. სწორედ ეს აქცევს „სუხიშვილებს“ უნიკალურ და ყველასგან განსხვავებულ ანსამბლად.

Georgian National Ballet Sukhishvili

Iliko Sukhishvili, artistic director
Nino Sukhishvili, director

Programme Notes

The program of the Georgian National Ballet tells the story of the struggles, suffering, and heroism of the Georgian people. Fabulous costumes and exquisite choreography capture the essence of the Georgian soul. The men impress with their fiery temperament, embodying both warlike and noble qualities. Highlights of their extraordinary skill include lightning-fast spins and jumps on their toes — performed in soft leather boots without hard soles — as well as whirling spins on one knee at a speed that makes the audience's hearts skip a beat. The stunningly graceful women, gliding across the stage, captivate spectators with their enchanting dances. The entire program brings the history of Georgia vividly to life, thrilling audiences and leaving them with unforgettable impressions. The Georgian National Ballet has always been at the forefront of innovation in Georgian dance, recognising that the company is not a dance museum but a living, evolving art form. Folkloric themes — in both choreography and music — are reimagined and enriched with classical dance elements. This fusion is what makes the company so unique and sets it apart from all others.

MAGIC DAYS

Programme notes by Nino Zhvania